სკოლამ ვერ წარმოადგინა რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევის პოლიტიკას. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს ზეპირი გამოცდილებით და მიმართავს ყველა იმ პროცედურას, რომელიც კანონით არის განსაზღვრული; ვაკანსიას აცხადებს მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე თანამშრომლების პირადი საქმეები, სადაც სრულად არ არის წარმოდგენილი დასაქმებულები პირების ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და ასევე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. სკოლას არა აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მხრიდან პედაგოგების მიმართ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების. სკოლას არა აქვს შემუშავებული და დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში დასაქმებული სხვა პირების - თანამშრომლების მიმართ. დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (01.12.2024 წ. - 25.12. 2024 წ.)

ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ექვს უსტატუსო პედაგოგთან აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია.

დანარჩენ პედაგოგებთან გაფორმებულია კვალიფიკაციის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/წ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. სკოლაში ვიზიტისას ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს, რომლებიც საჭიროებს კანონდებლობის შესაბამისად გამართვას. რაც შეეხება ადმინისტრაციას, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული არ იყო შესაბამისად ვერ შეფასდა თუ რამდენად შეესაბამებოდა პერსონალის კვალიფიკაცია დაკავებულ თანამდებობას. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ადმინისტრაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა. კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის უზრუნველყოფა.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (01.12.2024 წ. - 15.09. 2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება.“

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ადმინისტრაციამ ზეპირი ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა თანამშრომლობით მუშაობაზეა დაფუძნებული, მასწავლებლები წახალისებული არიან დამსახურების, სამართლიანობის, თანასწორობის, ხარისხზე ორიენტაციის გათვალისწინებით. სკოლა ცდილობს ყველასთვის შექმნას კომფორტული და თანასწორი გარემო, რათა პერსონალმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენა. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. წახალისება აისახება მადლობის გამოცხადებაში. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება ასახულია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

6. შენაგანაწესის მიხედვით სკოლას დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. სკოლა აღნიშნავს, რომ სკოლის მიზანია პერსონალის ერთობლივი, წარმატებული მუშაობის უზრუნველყოფა, მათი ძლიერი მხარეების გამოვლენა და სუსტი მხარეების გამოსწორებაში ხელის შეწყობა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ანხორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. სკოლამ ვიზიტის პროცესში ვერ წარმოადგინა რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც დადგინდება პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

გამომდინარე იქედან რომ სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასების საჭიროებების გამოვლენის მექანიზმი, სკოლა მოცემულ ეტაპზე ვერ ახერხებს პერსონალის საჭიროებების გამოვლენას და პერსონალის განვითარების დაგეგმვას. სკოლის ადმინისტრაცია ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით, სამომავლოდ 2024-2025სასწავლო წელს შეიმუშავებს შესაბამისი მექანიზმების ამსახველ დოკუმენტს. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

ვიზიტის პროფესში სკოლის ადმინისტრაცია ინტერვიუების დროს აღნიშნავდა, რომ სამომავლოდ 2024-2025 სასწავლო წელს შექმნის სისტემას, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები გააკეთებენ სისტემატურ თვითშეფასებას. გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად დაგეგმავენ პროფესიულ განვითარებას, რომლის განხორციელების პროცესშიც სკოლა მხარდაჭერი როლის შემსრულებელია. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუების და დაკვირვების გზით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ახალი კადრების ადაპტაცია-სოციალიზაციას. სკოლის ადმინისტრაცია ინტერვიუების დროს აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, იგი ეხმარება ახალ კადრებს გაეცნონ სკოლაში არსებულ წესებსა და ტრადიციებს, რათა სწრაფად მოხდეს მისი ორგანიზაციის კულტურასთან შეგუება. სკოლას მოცემული ეტაპისათვის არ აქვს გაწერილი ახალი კადრის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურები.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (01.12.2024 წ. - 25.12. 2024 წ.)

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასა და წახალისებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლა თვითშეფასების განაცხადის ფორმაში აღნიშნავდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის პირველ ადგილზე დგას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს. სკოლის განცხადებით, 2024 წლის აგვისტოსა და სექტემბერში მოახდენდა სასკოლო საზოგადოების საქმიანობის (აქტივობების) დაგეგმვა- დანერგვას. თუმცა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დასადასტურებლად. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამება“.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები ნაწილობრივ რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, თუმცა სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა დამტკიცებული 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული საქმისწარმოების წესი ან/და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შვდიწლიანი სტრატეგიული გეგმა.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტის - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება და დამტკიცება.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (01.12.2024 წ. - 15.01. 2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება.“

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც რომელიც არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. იგი ითვალისწინებს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ მუხლებს, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს

თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება. გასაჩივრებისა და საჩივრების დროს სკოლა ეფუძნება აღნიშნულ დოკუმენტებს. თუმცა ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლაში არ არსებობს საჩივრების განხილვის სტრუქტურული ერთეული-დისციპლინური კომიტეტი. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოების მხრიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია, თუმცა ვიზიტის დროს ასევე დადგინდა, რომ სკოლაში არ არის შექმნილი დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსაზღვრელად, რომელშიც თანაბარი რაოდენობით უნდა იყვნენ წარმოდგენილი მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით) და მოსწავლეები (პედსაბჭოს წარდგენით);

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - შესაბამისი წესით შეიქმნას დისციპლინური კომიტეტი და გაიმართოს შესაბამის დოკუმენტაცია.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (01.12.2024 წ. - 12.01. 2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება.“

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების ინფორმირება ხდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული სტენდის, სოციალური ქსელების, სატელეფონო ზარების, სმს-ების მეშვეობით, მშობელთა კრებებსა და პირად შეხვედრებზე. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ელექტრონულ ჟურნალში. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია. სკოლაში საქმიანობას ეწევა მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკი, რომელსაც გამოყოფილი აქვს სივრცე ინდივიდუალური მუშაობისთვის, ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს მხარდაჭერისთვის (მოსწავლე, თანამშრომელი, მშობელი). სკოლის ყველა ფუნქციურ კლასს ჰყავს დამრიგებლები, რომლებიც სხვადასხვა გზით ამყარებენ კომუნიკაციას მშობლებთან, იღებენ უკუკავშირს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - შეირჩეს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა - ერთობლივი ღონისძიებები თემთან და სხვა. განისაზღვროს სასკოლო სასწავლო გეგმის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების შედგენა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები).

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15.01.2025 წ. - 15.09.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

საავტორიზაციო ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლაში მოცემული ეტაპისათვის ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად არ ფუნქციონირებდა მართვის კოლეგიალური ორგანოები; სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექციის განმარტები სკოლაში მოცემულ ეტაპზე აქტიურად საქმიანობდა მხოლოდ პედაგოგიური საბჭო, თუმცა ვიზიტისას სკოლამ ვერ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს საქმიანობის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად შექმნას მართვის კოლეგიალური ორგანოები და გამართოს მისი ფუნქციონირების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - შეირჩეს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა - ა). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტის - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება და დამტკიცება.

ბ). სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება. გ). საქმისწარმოების წესის და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტის დამტკიცება.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15.01.2025 წ. - 15.09.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

აი ეს დოკუმენტები გამოვითხოვოთ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა დოკუმენტაციის შესწავლით გაირკვა, რომ აღნიშნულ პიროვნებასთან არ იყო გაფორმებული შესაბამისი სახის შრომითი ხელშეკრულება. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლაში ვიზიტისას იგრძნობოდა მიუკერძოებელი და სამართლიანი გარემო. სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. უნდა აღინიშნოს, რომ ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორი განთავსებულია სამასწავლებლოში, სადაც ყველა თანამშრომელს ხელი მიუწვდება ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორინგის სისტემაზე. სკოლამ ვერ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო

საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას არა აქვს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. აღსაღნიშნავია, რომ შენობის პირველ სართულზე ბიბლიოთეკის/კომპიუტერების ინტეგრირებულ ლაბორატორიაში დამონტაჟებულია რკინის გისოსები, შენობის ნულოვან სართულზე განლაგებულია დიზელის გათბობის ავზი. სკოლის ფოიეში დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, რომელსაც გასული აქვს ექსპლუატაციის ვადა. გამომდინარე აქედან, სკოლას სჭირდება სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს სწავლობდა 49 მოსწავლე, სოფელ ქურდულის დაწყებითი საფეხურის შენობაში სწავლობდა 7 მოსწავლე, ხოლო სოფელ ახალუბნის საჯარო სკოლაში სწავლობდა 2 მოსწავლე. ასევე აღსაღნიშნავია, რომ სოფელ ტუნაძეების საჯარო სკოლის შენობა, რომელიც ახალი აგებულია, ვიზიტის დროს არ იყო გატარებული საჯარო რეესტრში, რის გამოც სკოლამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ საჯარო რეესტრში ფიქსირდება სკოლის ძველი შენობა, რომელიც დღის მონაცემებით არ არსებობს. სკოლის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის შენობას აქვს, როგორც შიდა ბზარი, ასევე გარე ბზარი, რის გამოც წინა ფასადი - (მე -2 და მე 3 სართული) მოდგმული ნაწილი შესამჩნევად დაქანებულია. ვიზიტისა ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ საკუთარი ინიციატივით ორი საყრდენი ბოძი შეუდგა სკოლის შენობის გადმოზნექილი ნაწილის. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ მიმართოს სამხარაულის სახელობის ეროვნულ სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა -

- ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირს ბრძანებით განსაზღვრა.
- ბრძანებით გამოიყოს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებისათვის დაცული სივრცე, სადაც ნებისმიერ პირს არ მიუწვდება ხელი.
- შეთანხმდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცდეს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
- შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება. (სოფელი ტუნაძეები - ერთი შენობა) (სოფელი ქურდული - ერთი შენობა) (სოფელი ახალუბანი - ერთ შენობა)
- საჯარო რეესტრში გატარდეს სკოლის შენობა (სოფელი ტუნაძეები - 1 შენობა, სოფელი ახალუბანი - 1 შენობა, სოფელი ქურდული - 1 შენობა).

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15.01.2025 წ. - 15.09.2026 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. სკოლის ვიზუალური დათვალიერების დროს დადგინდა, რომ სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტისთვის გათვალისწინებული ოთახი და შესაბამისი ინვენტარი, თუმცა სკოლას ფაქტობრივად არა აქვს სამედიცინო კაბინეტი მოწყობილი. სკოლას არა აქვს პირველადი მოხმარების მედიკამენტები. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა არ ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას არა აქვს შემუშავებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლაში არ არის დასაქმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელიც საქმიანობას უნდა ანხორციელებდეს ზამოაღნიშნული ბრძანებით დადგენილ შესაბამისად აღჭურვილ სამედიცინო კაბინეტში. სკოლას არა აქვს სამედიცინო მედიკამენტები. სკოლას დაშვებული ჰყავს ექიმის შტატი, თუმცა სკოლას არ ჰყავს ექიმი. დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლა დიდი ხნის გარეშე საქმიანობას ანხორციელებს ექიმის/ექთნის გარეშე, გამომდინარე იქედან, რომ გამოცხადებულ ვაკანსიაზე არ გამოცხადდა შესაბამისი კადრი.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა -

- სკოლაში შესაბამისი რესურსით გამართული სამედიცინო კაბინეტის გამოყოფა.
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების შექმნა და ბრძანებით დამტკიცება.
- კანონმდებლობის მოთხოვნით შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი/ექთნის უზრუნველყოფა.
- პირველადი დახმარების მედიკამენტების უზრუნველყოფა.
- შემუშავდეს და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (10.12.2024 წ. - 15.01.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, დაწესებულებაში საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას აკონტროლებს დარაჯი. დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებში უნდა იყოს სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისი წესით შეირჩეს სამეურვეო საბჭო და გაიმართოს მისი საქმიანობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - შეირჩეს შესაბამისი წესით მრჩეველთა საბჭო და დამტკიცდეს.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15.01.2025 წ. - 28.02.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლას არა აქვს შემუშავებული პერსონალური დაცვის მექანიზმების ამსახვებელი დოკუმენტი. სკოლაში არსებობს მექანიზმი, რომელიც იცავს როგორც სასკოლო საზოგადოების პირად ინფორმაციას, ასევე სკოლის შიდა პერსონალურ მონაცემებს. სამომავლოდ სკოლა შეიმუშავებს ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების მართვის მექანიზმს. სკოლა გამოყოფს ინფორმაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - შემუშავდეს პერსონალური დაცვის მექანიზმების ამსახვებელი დოკუმენტი.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15.01.2025 წ. - 28.02.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

საავტორიზაციო ვიზიტის პროცესში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ნაწილობრივ უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლას არა აქვს შემუშავებული და შესაბამისი წესით დამტკიცებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სკოლაში ნაწილობრივ დაცულია

სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია პირველ და მეორე სართულის ფლიგელში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და დაცულია გარეშე პირთათვის. სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამა არის ჩატვირთული. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, სკოლაში ბრძანებით არის გამოყოფილი საქმისმწარმოებელი, სკოლა მესამე პირების წვდომისგან იცავს კანონმდებლობით დაცულ პერსონალურ ინფორმაციას. დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ შვილების წარმატებას მშობლებს, მოსწავლეების და მასწავლებლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლას განსაზღვრული ყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, მონაცემების შეგროვება, დამუშავება და დაცვა ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით. სკოლა მონაცემებს ამუშავებს და აგროვებს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით, მონაცემები დაცულია იმგვარად რომ არ მოხდეს არსებული მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, დაკარგვა ან სხვა ფორმით უკანონო გამოყენება. სკოლას ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მომაგრებული აიტმენეჯერი. ინფორმაციის უსაფრთხოებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრის განმავლობაში 2-ჯერ. თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - შექმნას მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15.01.2025 წ. - 28.02.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

8. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. თუმცა ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლაში არ ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგიერთი მექანიზმის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვერც ერთ შენობაზე ვერ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, (სოფელი ტუნაძეები, სოფელი ახალუბანი, სოფელი ქურდული.) სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მათ ხელი მოაწერეს შენობის მიღება ჩაბარების აქტზე (რომელის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი) თუმცა სკოლის ახალი შენობა არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. სკოლას აქვს სათანადო მატერიალური რესურსი, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა არის ოთხსართულიანი - ნულ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, გათბობის სისტემა, გასახდელი ოთახები სპორტული დარბაზისათვის. პირველ სართულზე განთავსებულია დახურული სპორტული დარბაზი, რომლის სახურავიც დიდთოვლობის გამო მსუბუქად დაზიანებულია. საკლასო ოთახები და სველი წერტილები. მეორე და მესამე სართულებზე განთავსებულია საკლასო ოთახები და კაბინეტები ადმინისტრაციისათვის და ბუღალტერისათვის. სკოლის შენობის შემოსასვლელი და პირველი სართული ადაპტირებულია და გათვლილია შშმ მოსწავლეების საჭიროებებზე. თუმცა აღსაღნიშნავია, რომ სკოლას არა აქვს რესურს/ოთახი. სკოლის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადითა და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიის ერთი ოთახი, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტ ქსელით. საკლასო ოთახებში არის სასწავლო საგნების თვალსაჩინოებები, სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი. სკოლაში არ არის მოწყობილია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული დახურული შიდა სპორტული დარბაზი საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში არ არის ანბანური და თემატური კატალოგები, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის ბიბლიოთეკა შედგება სათანადო წიგნდი ფონდისგან, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ შესაძლებელია სასკოლო საზოგადოების მიერ საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება საჭიროებისამებრ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი წარმოდგენილია, როგორც მხატვრულ, ასევე მეთოდური და მოსწავლის სახელმძღვანელოებით. სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სხვადასხვა სივრცეები, როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის შესაბამისი ინვენტარითა და წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკაში ინახება ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, რუსულ ენოვანი და ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც გატარებული აქვს სკოლის წიგნადი ფონდი. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. თუმცა წიგნების გადამოწმებისას დადასტურდა, რომ წიგნებს არა აქვთ დასმული სკოლის ბეჭედი შესაბამისი წესით. სკოლას არა აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლას მოცემული დროისათვის ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე (ბინაზე მეცადინეობას ექვემდებარება), სკოლის შენობის ცენტრალური შესასვლელი უზრუნველყოფილია პანდუსითა და ინკლუზიური მოსწავლისათვის განკუთვნილი სველი წერტილით. სკოლის ცენტრალურ შესასვლელთან განთავსებულია პანდუსი. პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა სკოლას არა აქვს რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილი იქნება საჭირო ინვენტარით. სკოლის საკლასო ოთახები, დირექცია-ადმინისტრაციის კაბინეტები აღჭურვილია შესაბამისი სახეობის ინვენტარით.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - რესურს-ოთახის მოწყობა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15.01.2025 წ. - 09.02.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლა აღჭურვილია შესაბამისი რესურსით კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, სასკოლო ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით. სკოლის ინფრასტრუქტურა და მისი ეზოს შეუძლია ხელი შეუწყოს სკოლას, რათა იგი გახდეს სოფელში ერთ-ერთ სოციო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სრულად აღჭურვილია ტექნოლოგიურად. გამართულად ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფტასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. გაკვეთილებზე და საზიარო სივრცეებში - ბიბლიოთეკა/კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია - მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას აძლევთ. სკოლას არა აქვს ჩამოყალიბებული ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. სკოლას არა აქვს მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიმუშავოს და შესაბამისი წესით დაამტკიცოს ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეების, ასევე პერსონალისთვის. სკოლა არეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პროცესს, რათა სასკოლო საზოგადოებამ მიზნობრივად გამოიყენოს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლა გეგმაზომიერად შეისწავლის და აფასებს ტექნოლოგიების ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, ახდენს საჭიროების იდენტიფიცირებას და ზრუნავს მის გადაჭრაზე. - სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურული გამართულობის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულია სკოლის დირექცია და ისტ. მასწავლებელი. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის. თუმცა სკოლას არა აქვს შემუშავებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების წესი.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - ინფორმაციული ინფრასტრუქტურის გამოყენებისა და სარგებლობის წესის შემუშავება და დამტკიცება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის ციფრული ტექნოლოგიების სასკოლო დროს გამოყენებისა და სარგებლობის დრო/ შესაბამისი წესი, რაც გაზრდის მოსწავლეების სწავლა-სწავლების ხარისხს.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (12/10/2024 წ. - 1/20/2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი. ინტერვიუს დროს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არ მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლა იყენებს eflow და Eshool-ის ბაზებს. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, თუმცა ყველა თანამშრომლის პირად საქმეში არ დევს ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - შესაბამისი წესით დამტკიცდეს საქმისწარმოების წესი.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (12/01/2024 წ. - 01.03.2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, ელექტრონული საქმის წარმოებისთვის eflow, eschool, ელ.ფოსტა (mes.gov.ge). ფოსტით სარგებლობა შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლისა და პაროლის საშუალებით. ასევე სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge). გარდა ჩამოთვლილისა, სკოლა სარგებლობს rs.ge, spa.ge და signature.ge. სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს

ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც ასახულია სკოლის პერსონალის მონაცემების შესახებ. საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო მონაცემი შევსებულია სრულად და ხდება მონაცემების განახლება და ასახვა ელექტრონულ სისტემაში. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის „ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს ვებ გვერდი, თუმცა აქვს საკუთარი ფეისბუქ გვერდი, რითაც ახდენს ინფორმაციის გაზიარებას, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის. ასევე ხელმისაწვდომია ასევე სკოლას აქვს შემოსასვლელში საინფორმაციო კუთხე, რითაც ხდება ინფორმაციის გასაჯაროება.

დაწესებულებამ წარმოადგინა უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელების დამადასტურებელი მასალები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა - შეიქმნას სკოლის ვებ-გვერდი.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (12/10/2024 წ. - 1/15/2025 წ.)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

